მარიამ ფიფია

მაიკოლას რომერის უნივერსიტეტი

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

ლიეტუვის განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროსთან არსებული საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების ხელშემწყობი ფონდის მიერ გამოცხადებული სტიპენდიის ერთ-ერთი მფლობელი, კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტი, მარიამ ფიფია გახდა, რის ფარგლებშიც სტუდენტმა 2023-2024 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრი მაიკოლას რომერის უნივერსიტეტში გაატარა.

„მადლიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ვყოფილიყავი გაცვლითი პროგრამის მონაწილე და 2023 წლის შემოდგომის სემესტრი გამეტარებინა ვილნიუსში, მაიკოლას რომერის უნივერსიტეტში.

ლიეტუვაში ცხოვრება იყო განსაკუთრებული კულტურული გამოცდილება. ახალ ქალაქთან შეგუება, არ იყო მარტივი, თუმცა ამ პროცესში თანდათანობით ვსწავლობდი და ვიზრდებოდი, აღმოვაჩინე ჩემი თავი სხვადასხვა კუთხით და ვისწავლე მეტი ფსიქოლოგიაზე. აკადემიურმა გამოწვევებმა შემმატა კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემის მარტივად გადაჭრის უნარები. საზღვარგარეთ ცხოვრება იყო ტრანსფორმაციული გამოცდილება, რომელმაც მომცა პიროვნული და კარიერული წარმატებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები. “

აღსანიშნავია, რომ კავკასიის უნივერსიტეტი მაიკოლას რომერის უნივერსიტეტთან 2013 წლიდან წარმატებულად თანამშრომლობს.